პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60

ფოთლის ანარეკლი

(938) 240 | 1 და 2 ქართული მსრ. დღ. პოლიტ-განების უთვალდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ეკანგულოვის ქუჩა ელმენი № 94
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 ფ. ზომ. სტრ

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების პლენუმის დადგენილების თანახმად ყოველ წლიურად საქართველოში „წერაკუმსის“ (წერა-კითხვის უცოდ. მებრძოლი საზოგადოების) კვირეული ჩატარებულ უნდა იქნას ნოემბრის თვის დასაწყისში.

მიმდინარე წელს აღნიშნული კვირეული ტარდება 1—7 ნოემბრამდე. კვირეულისათვის უკვე გამომშავებულია სათანადო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, სანამ თვით კვირეული დაიწყებოდეს, საჭირო იქნება მოეწყოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების უჯრედების წევრთა საერთო ღია კრებები და აქვე გამოიმუშაონ მომავალი მუშაობის გეგმები.

ამასთანავე ერთად კვირეულის გატარების დროს, იქ სადაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული „წერაკუმსის“ უჯრედები, უნდა მოეწყოს ასეთები და რაც მთავარია—უნდა გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები.

ამ კამპანიის ჩატარების დროს მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს მუშურ-გლეხურ ფართო მასაში „წერაკუმსის“ მიზნებისა და ამოცანების გაშუქების საქმეს.

ხსენებული კვირეულის ნაყოფიერად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ექნება წითელი არმიისათვისაც. დღეს წითელი არმია გადასულია ძირითადიდან სრულიად ახალ აღმშენებლობაზე—ტერნაწილებს მოწყობაზე. ტერნაწილებზე მიწერილი ცვლილებადელების საქმო რიცხვი წერა-კითხვის სუსტი და არა მცოდნე იყო, რომელთა შორის წერა-კითხ. უცოდ. ლიკვიდაცია დაკვრითი წესით გატარდა პირველი ტერშეკრების დროს თვით სამოქალაქო ორგანოების მერე. ასევე უნდა მოხდეს მწვევამიელთა შორისაც, სანამ იმათ გაიწვევდენ წითელი არმიის ნამდვილ სამსახურში.

ამ ჟამად წითელი არმიის აღმშენებლობის სწრაფი წინსვლა და მისი ეკონომიურ პოლიტიკური ინტერესები მოითხოვენ, წითელი არმია ყოველთვის შეგვხვედეს იქნას წერა-კითხვის მცოდნე მუშურ-გლეხური ახალგაზრდობით.

ამის შესახებ საინტერესოა საბჭოთა კავშირის რევ-საბჭოს მიერ სახალხო კომისარიათა საბჭოში წარდგენილი მოხსენება, სადაც ხაზი აქვს გასმული შემდეგს: სამხედრო საქმე იმდენად გართულდა, რომ მისი შესწავლა წითელარმიაში ყოფნის მცირე დროის განმავლობაში შესაძლებელია ხეოლოდ წერა-კითხვის მცოდნეთათვის. ამიტომ განათლების დარგის ყველა ორგანოების ამოცანა უნდა იყოს მწვევამდელთა ჰასაკის ახალგაზრდათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

რევსაბჭო აღნიშნავს, რომ წერა-კითხვის უცოდ. მოსპობა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდათა—მწვევამდელთა შორის უნდა გატარდეს დაკვრითი წესით, იმ ანგარიშით რომ, 1927 წელში წითელ არმიაში გამოწვეული ახალგაზრდობა იყოს წერა-კითხვის მცოდნე, აუცილებლ დ. ეი როგორი შეხედულების არის საბჭოთა კავშირის რევსაბჭო ამ საკითხზე.

ჩვენი მოვალეობაა ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ და დავუხმაროთ სათანადო ორგანოებს ამ კვირეულის ნაყოფიერად ჩატარებაში და ამით საქმედ ვაქციოთ ჩვენი ბელადის—ამხ. ლენინის ლოზუნგი: „ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ უნდა იყოს წერა-კითხვის არც ერთი არამცოდნე“.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მნიშვნელობა.

ამხ. კრასინის მოხსენება.

19 ოქტომბერს ამხ. კრასინმა გააკეთა მოხსენება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ძლიერი კედელი შეიქნა, რომელმაც ჩვენ საშუალება მოგვცა დაგვეცვა ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ გარშემორტყმულობის პირობებში. ჩვენ არ ვფიქრობთ რაიმე დათმობაზე წასვლას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში, რომელიც საგანგებით გამართულებულია, როგორც საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შეკავშირებული გეგმოვანი გამოსვლა უცხოეთის ბაზარზე. მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია შინაურ ხასიათის სხვა ეკონომიურ ღონისძიებებთან ერთად მიგვიყვანს ჩვენ სოციალიზმთან.

საგარეო ვაჭრობის დარგში ჩვენი მიზანია, რათა საქონლის გატანა აღემატებოდეს შემოტანას, რაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში იყოს მარაგის არსებობის.

4 წლის საგარეო ვაჭრობამ ჩვენ უკვე დიდი შედეგები მოგვცა. თუ რომ საგარეო ვაჭრობის ტრიალი გაუსწორდა 1921 წელში ომამდე არსებულს 9 პროც., 1925-1926 წელში ეს ტრიალი ავა 50 პროცენტამდის.

შეეხო რა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობის ნაკლს, კრასინმა განაცხადა, რომ ამ ნაკლს წარმოადგენს ხანდახან არა საკმარისი მოქნილობა, შეუგუებლობა ბაზრისადმი, მაგრამ ამის წინააღმდეგ სწარმოებს ენერგიული ბრძოლა.

ახალი რადიო-ამბები

საოქალაქო ომი ჩინეთში

სუნ-ჩუან-ფანი მშვიდობიანობის დამრღვევია.

გენერალი ჩან-ძო-ლინი ჩინეთის რეაქციონერების ბელადი.

ჩინური ნახევრად-ოფიციალური გაზეთი „პეკინ დეილი ნიუზი“ ჰგმობს სუნ ჩუან-ფანის მოქმედებას, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი კონფერენციის მოწვევას. გაზეთი აღნიშნავს, რომ სუნ-ჩუან-ფანის უფლებაშია დაიცვას მშვიდობიანობა თუ გამოიწვიოს არეულობა. თუ რომ მთავრობას დაემორჩილება და გაიყვანს შანხაიდან თავის ჯარებს, ის დაამტკიცებს სამშობლოს სიყვარულს, წინაღმდეგ შემთხვევაში ის იქნება მოღალატე და თავის ქვეყნის დამაქცეველი.

ნანკინი იანუ-ტინის ხელშია.

ემზადებიან ძლიერი ბრძოლისთვის შანხაი-ნანკინის რკინის გზაზე.

როგორც ცრობებიდან ჩანს ქალაქი ნანკინი (ჩინეთში) კიდევ იანუ-ტინის ხელშია. მუკდენის ჯარები უკან იხევენ სტრატეგიულ მოსაზრებით. მოელიან ძლიერ ბრძოლას შანხაი-ნანკინის რკინის-გზაზე, სადაც მუკდენის ჯარებს აქვთ დროებითი ფრონტი.

ფინანსიური გაჭირვება.

სომარ მოქმედების გამო ჩინეთში შესესტდა ბანკებისა და ბირჟის მუშაობა. მთავრობის ფულის ნიშნები დაეცა.

ლოკარნოს შეთანხმებათა ტექსტი.

გამოქვეყნებულია ლოკარნოს შეთანხმებათა ტექსტი, რომელიც შესდგება საერთო ხელშეკრულებისა და ცალკე ხელშეკრულებათა მთელი რიგისაგან.

საერთო ხელშეკრულება.

საერთო ხელშეკრულებაში გერმანიის, ბელგიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლები აცხადებენ თანხმობას შემდეგ ხელშეკრულებებზე, როგორიცაა:

1) გერმანიის, ბელგიის, საფრანგეთს, ინგლისსა და იტალიას შორის ხელშეკრულების დადება (ე. ი. საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულება საფრანგეთ-გერმანიისა ბელგია—გერმანიის საზღვრების შესახებ);

2) საარბიტრაჟო (საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო) შეთანხმება გერმანიასა და ბელგიას შორის;

3) საფრანგეთსა და გერმანიას შორის (საარბიტრაჟო შეთანხმება);

4) გერმანიასა და პოლონეთს შორის (საარბიტრაჟო შეთანხმება);

5) გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიას შორის (საარბიტრაჟო ხელშეკრულება);

ზემოაღნიშნულ სახელმწიფოების წარმომადგენლები ხელშეკრულებას სდებენ შეიკრიბონ კვლ ვ ლონდონში 1-ლ დეკემბერს და ხელი მოაწერონ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, რომლებიც უკვე საბოლოო არიან.

უკანასკნელ მუხლში ნათქვამია, რომ დელეგატები ვალდებულებას ღებულობენ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ განიარაღების საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას.

ლოკარნოს ხელშეკრულება და საოკუპაციო ოლქები.

გერმანიის რეიხსკანცლერმა ლიუტერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა გააცნეს საოკუპაციო ოლქების წარმომადგენლებს კონფერენციის შეთანხმების შინაარსი.

რეინის ოლქების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გერმანიის მიერ საგარანტიო ხელშეკრულების მიღება დამოკიდებული უნდა იყოს ამაზე, მოუტანს თუ არა ხელშეკრულება ახლო კვირეებში საგრძნობ შედეგებს რეინის პროვინციებს.

თათბირი რკპ-ს ცეკას ბეჭდვითი საქმის განყოფილებაში.

595 გაზეთი და 216.000 კორესპონდენტი.

ბეჭდვითი საქმის ცენტრალურ სახლში, მოსკოვში, გაიხსნა ბეჭდვითი საქმის საკუთარნიო განყოფილებების, მსხვილ გაზეთების რედაქტორების და საბჭოთა პარტიულ გამომცემლობათა გამგეების თათბირი.

თათბირის პირველი სხდომა გაიხსნა რკპ-ს ცეკას მდივანის, მოლოტოვის ვრცელი მოხსენებით, რომელმაც გააშუქა ბეჭდვითი სიტყვის როლი პარტიის წინაშე მდგომ ამოცანებთან დაკავშირებთან.

შემდეგ ბეჭდვითი საქმის მიღწევებზე მოხსენება გააკეთა რკპ-ს ცეკას ბეჭდვითი საქმის განყოფილების გამგემ ვარეიკასმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მიღწევებია ამ დარგში. მა განაცხადა, რომ 1924 წელში ჩვენ გვქონდა 517 გაზეთი ეხლა კი—595. გაიზარდა ტირაჟიც (თითო გამოშვების რაოდენობა). ამ ჟამად მუშათა გაზეთების რიცხვი უდრის—58 ხელმძღვანელ გაზეთებს—15, პროფესიონალური—18, გლეხთა—146, კომკავშირის—56.

შემდეგ მოხსენებელმა აღნიშნა, თუ რა ნაკლი აქვთ სა ერთოდ ჩვენს გაზეთებს.

მომხსენებელის ცნობების თანახმად ამ ჟამად კორესპონდენტთა რიცხვი უდრის 216.000.

ბრძოლა ფლანგვის წინააღდეგ.

პროლეტარული სასამართლოს ხმა.

ფინკოვიჩსა და ვაცლავს მიუსაჯეს დახვრეტა.

კავკასიის არმიის სამხედრო ტრიბუნალმა 1925 წლის 19 ოქტომბერს, ფულის გაფლანგვისა და დეზერტირობისთვის, მიუსაჯა 64-ე ლეგიონის ხაზინადარს ფინკოვიჩს დახვრეტა.

ამავე მოქმედობისთვის სამხედრო ტრიბუნალმა ბაქოში მიუსაჯა დახვრეტა დივიზიის ხაზინადარს ვაცლავს.

მუშურ-გლეხურმა სასამართლომ დაიწყო გადამჭრელი ბრძოლა სახალხო ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ. სოციალურ დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა ჩვენი სასამართლოების მიერ იხმარება უკიდურეს შემთხვევებში. გახშირებული ფლანგვა, რომელიც წარმოდგენს საშინელ საზოგადოებრივ ბოროტებას, ჰქმნის აუცილებლობას ხმარებულ იქნას დამნაშავეთა მიმართ დასჯის ეს მკაცრი ზომა.

ეს ორი განაჩენი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ერთი იმიტომ, რომ ისინი ნათლად გამოხატავენ და ამეღავნებენ მშრომელთა ნებას, რომელთაც დასახული აქვთ ამ ჟამად სერიოზული ამოცანა მოსპონ სახალხო ქონების მტაცებლობა. მეორედ ამ განაჩენებით პროლეტარული სასამართლო არამც თუ მხოლოდ მიმართავს თვით გამფლანგველთა სასტიკ დასჯას, არამედ ერთხელ კიდევ მოაგონებს და მკაცრად აფრთხილებს ყველა იმათ, ვინც ფიქრობს, რომ მათი ბოროტმოქმედება გამოუმეღავნებელი დარჩება.

გამ ფრთხილებელ ზომებთან ერთად, რომელთა შესახებ უკვე იწერებოდა გაზეთებში, საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს გადამჭრელ ზომებს ბოროტ-მომქმედ-მფლანგველების მ მართ.

თვითეული მშრომელი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს და შეიგნოს ამ ჟამად მასზე დაკისრებული როლი—გამოააშკარავონ ბოროტმომქმედნი და დაეხმარონ სასამართლოს ორგანოებს მათ წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებაში.

სასამართლოს მხრივ განაჩენი მართებულია. არავითარ დაზოგვას მფლანგველთა ადგილი არ ექნება.

ა. ლიუბიმოვ.

„რ. ბ."

როგორ ჩატარდა გაწვევა კახეთში

1903 წელში დამადებულთა გაწვევა უკვე დასრულდა თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

წინასწარ, მაზრების ყველა თემებში ჩატარებულ იქნა შესაფერი მომზადება. თემებში ეწყობოდა საუბრები, ლექციები და ტარდებოდა სხვა და სხვა ხასიათის კამპანიები.

სამაზრო საკრებ პუნქტებთან მოწყობილ მიმდებ კომისიებში შედიოდენ საბჭოთა პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამხედრო უწყების წარმომადგენლებთან ერთად.

გაწვევა გაგრძელდა სიღნაღის მაზრაში 9 დღე, ხოლო თელავისაში—10 დღე. მოსახლეობა დიდის აღფრთოვანებით აკილებდა ახალწვეულებს. გაწვევის წესი ასეთი იყო: სოფლის ახალწვეულები თავს იყრიდენ სათემო აღმასკომში, სამხედრო მაგიდასთან. შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარისა და სამხედრო მაგიდის გამგის თანხლებით ახალწვეულები მოდიოდენ სამაზრო საკრებ პუნქტთან.

ერთი სოფლიდან ტრაქტორისთვის მოებათ ურმები და ურმებზე დამსხდარი ახალგაზრდობა ერიამულით გამოცხადდა სამხედრო მაგიდასთან.

ყველგან გაწვევა დიდის წარმატებით ჩატარდა. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთს ასეთი გაწვევა არ ახსოვს. ხალხი დროშებით და სიმღერით აცილებდა ახალგაზრდობას.

დ.

საქართველოში.

1903 წლის გაწვევა

1903 წელში დაბადებულთა გაწვევა თელავის მაზრაში ბრწყინვალედ ტარდება. გაწვეულები უკლებლივ ცხადდებიან შესაკრებ წერტილებზე.

სამსახურისთვის უვარგისად ცნობილები (ფიზიკური მდგომარეობის გამო) „შერით" აცილებენ წითელ არმიაში მიღებულებს: „თქვენ იქ გასწავლიან და კაცები დაბრუნდებით სახლში"—ეუბნებიან მათ.

საბჭოთა მეურნეობის ღვინის მოსავალი

თელავის სამაზ. აღმასკომის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში მოკრეფილ იქნა 15.000 ფ. ყურძენი, ე. ი. ორჯერ მეტი გასულ წელზე.

უკვე შეუდგენ ჭაჭის არაყის ხდას.

აჭარისტანის ცაკის მე-3 სესია.

20 ოქტომბერს ბათუმში მოწვეულია აჭარისტანის ცენტრალური აღმასკომის მესამე სესია, რომლის მოწვევაც ამას წინად გადადებულ იქნა.

მოსავლის შენახვა.

თელავის მაზრაში დამთავრდა ყურძნისა და სიმინდის შენახვა. სოფლისა და რთველის მოგრჩენილი გლეხობა შეუდგა საშემოდგომო ხვნას.

ამინდი კარგია.

სამხედრო საქმე

საჭიროა თუ არა ასეულისათვის რეზერვი მისი მოგეგრილობისათვის დალაგების დროს.*)

(დასასრული)

აქ იბადება კითხვა. მაშ ვინ ასრულოს თვალ-თვალისა და უნდა იქნას მოთავსებული ტალას ზოლში ან ვინ უნდა შეურმებზე დამსხდარი ახალგაზრდობა ერიამულით გამოცხადდა სამხედრო მაგიდასთან.

*) სადისკუსიო.

ხს: სათვალთვალო ზოლში სამსახური წარმატებით შეუძლია შეასრულოს იმ ოცეულებმა, ზემოლენილ ოცეულებიც მთავარ საწინააღმდეგოს ზოლში მოთავსდებიან, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ შორის რაციონალურად განაწილდება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პირობებში სამსახური სრულებით არ შესუსტდება არამედ უფრო გაძლიერდება". აქ ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ტალის ზოლში მოთავსებული ნაწილები უშუალოდ დაახლოვებულნი იქნებიან იმ ოცეულების მეთაურებიდან, საიდანაც ისინი გამოიყვანენ და, მაშასადამე, მათი ხელმძღვანელობა, რასაკვირველია, მეტი ფხიზელი და ნაყოფიერი იქნება, იმ პირობებზე, როდესაც ისინი უშუალოთ ასეულის მეთაურს ექვემდებარებიან. მაგრამ მე აქ მინდა ცოტათი გავასვაფერო ეს აზრი. თუ კი რომ ჩვენ მივიღებთ იმ დებულებას, რომ ტალის ზოლში გზავნის ნაწილებს არა ასეულის, არამედ ოცეულის მეთაური, ოცეულის უბნის კედარო უნდა შემცირდეს, რაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ კი რომ ასეულის მეთაური თავის განკარგულებაში რეზერვი არ გამოყოფს ოცეულს, და, ჩემის აზრით, ეს დასაშვები და უმჯობესია.

თქვენთვის ყველასათვის ნათელია რეზერვის დანიშნულება. ეს იქნება ყოველგვარი მოულოდნელობის წინააღმდეგომანევრი და რასაკვირველია დანაკლისის შევსება და სხვა კიდევ.

მაგრამ თქვენ აქ მოიგონეთ თვით ასეულის მოთავსების წესი.

ასეული დალაგდება როგორც, კედაროთი, ისე სიღრმით დანაწილებული პატარ-პატარა ჯგუფებთა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მოპირდაპირის ცეცხლის დაცემის დაქსაქსვა. მოგერიების ყველა ცალ-ცალკე ჯგუფებსა და ცეცხლის საწარმოვო საშუალებათა შორის უნდა იყოს მეტადრო კავშირი ცეცხლის საშუალებით როგორც კედაროზე, ისე სიღრმით, მტრის მიერ ერთი ცეცხლ წერტის ხელში ჩაგდების შემთხვევაში შეიძლებოდეს მეზობელ ცეცხლწერტიდან ცეცხლით ანოყრა. ერთი სიტყვით ეს ცეცხლწერტები ერთმანეთ შორის იმდენად გადახლართულია ცეცხლისა და სხვა საშვალებებით, რომ ძნელი წარმოსადგენია მოპირდაპირემ ასეულის კედაროზე ისეთი მანევრი გაკეთოს, რომ მისი ჩაქოლვა არ შეიძლებოდეს რომელიმე ცეცხლწერტიდან; ამის თავდებია ის რომ ცეცხლწერტები დაყრდნობილია ადგილობრივ საგნებზე და მოთავსებულია მთელ უბანზე ჯადრაკულათ. იმ შემთხვევაში, როდესაც მთელი ასეულის კედაროზე უქადის მტერი გარღვევას, მაშინ ათასეულის რეზერვი შესძლებს მისთვის დახმარების გაწევას. ყოველ შემთხვევაში რეზერვი უნდა იყოს დალაგებული ისე როგორც მთავარ საწინააღმდეგო ზოლში და შეადგენდეს მის უშუალო გაგრძელებას. ის უნდა იყოს დალაგებული ისე რომ ადგილის გამოუცვლელათ თავიანთ ცეცხლწერტებიდან დახმარება აღმოუჩინონ მეზობელ წერტებს, როგორც მთავარ საწინააღმდეგო ზოლში თავის ასეულისას, ისე მეზობელ ასეულისას.

მე ვიმეორებ, თუ კი რომ ასეული მოთავსებული იქნება ისე, როგორც ამას მოითხოვს ქვეითა ჯარის საბრძოლო სამსახური, ასეულისათვის რეზერვის ყოლა ზედმეტია, ის უნდა იქმნას გამოყენებულ მთავარ საწინააღმდეგოს ზოლში იმ პირობით, რომ ოცეულებს შეუმცირდეს უბანი იმ მიზნით, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ ტალაში გამოყოფ სათანადო ნაწილი.

მ. გობრონიძე.

ამონაწერი

საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს ბრძანებიდან № 208 1925 წლის 19 თებერვლიდან.

(დასასრული)

23. თემის დამუშავება ადიუნკტის მიერ შესრულებულ უნდა იქნას მისი ამ წოდებაზე ყოფნის განმავლობაში (მუხ. მე-18.)

შენიშვნა: ადიუნკტები, რომლებიც დამაკმაყოფილებლად ასრულებენ არჩეულ თემის და დაწესებულ სამუშაოს—დანიშნულ დროზე უფრო ადრე, შეიძლება წარდგენილ იქნან აკადემიის უფროსის მიერ მასწავლებლის წოდებაზე დასამტკიცებლად დადგენილ წესის მიხედვით.

24. იმ მიზნით, რომ გაეცნოს ადიუნკტი აკადემიაში მომავალ სამასწავლებლო მოღვაწეობის ხასიათს, გარდა ზევით აღნიშნულ მუშაობისა თემაზე, ის მიიზიდება პრაქტიკულ მეცადინეობათა ხელმძღვანელად, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი სათანადო კათედრაზე, და აგრეთვე ის ასრულებს სხვა და სხვა დამხმარე სამოსწავლო—საორგანიზაციო მუშაობას, რომელსაც ავალებს მას კათედრის ხელმძღვანელი. მაგრამ ამ გაცნობამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ადიუნკტზე მიკეთებულ ძირითად სამუშაოს და არ უნდა აღემატებოდეს 6 სამოსწავლო საათს კვირაში.

25. თემის დასამუშავებლად დაწესებულ ვადის განმავლობაში, ადიუნკტი ვალდებულია ყოველ 4 თვის განმავლობაში მოახსენოს თავის მუშაობის მსვლელობის შესახებ აკადემიის უფროსის მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ კომისიას. კომისიაში თავმჯდომარეობს საერთანადო კათედრის ხელმძღვანელი.

26. იმ შემთხვევაში, თუ რომ კომისია იცნობს, რომ მოცემული ადიუნკტის სამეცნიერო შრომა მისი მოხსენების მოსმენის შემდეგ არ შეიძლება წარმატებით იქნას დამთავრებული, კომისიის თავმჯდომარე მოახსენებს ამის შესახებ, აკადემიის უფროსს, რომელსაც ენიჭება უფლება ან მისცეს ადიუნკტს ახალი თემა დასამუშავებლად (მაგრამ ადიუნკტს არ უგრძელებს ადიუნკტობის თანამდებობაზე ჯგუფის საერთო ვადას), ანდა იშუამდგომლოს ადიუნკტის „აკადემიიდან გამორიცხვის შესახებ.

მაგრამ ეს შუამდგომლობა დაიშვება არა უადრეს, ვიდრე ადიუნკტის ერთი წლის ყოფნისა ამ წოდებაზე.

27. დამთავრებულ შრომას ადიუნკტი წარუდგენს კათედრის ხელმძღვანელის საშუალებითა და მისივე შეფასებითა, აკადემიის უფროსს, რომლის განკარგულებითაც ინიშნება კომისია იმ ციკლის ხელმძღვანელთაგან, რომელთანაც შრომას აქვს დამოკიდებულება, და სხვა კათედრების წარმომადგენელთაგან, და აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის შემადგენლობიდან, მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოდან, და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომზადების **საბჭოს** შემადგენლობიდან განსაკუთრებით მოწვეულ პირთაგან; კომისიის თავმჯდომარეობს აკადემიის უფროსის მიერ დანიშნული პირი.

28. კომისიის თვითეულ წევრს გადაეცემა შრომა გასაცნობად და მის შესახებ წერილობითი შეფასების წარსადგენად.

29. კომისიის ყველა წევრების მიერ შრომის განხილვის შემდეგ, ადიუნკტი საზოგადო სხდომაზე გადმოსცემს მთავარ ხაზებში თავის შრომის შინაარსს 2 აკადემიური საათის განმავლობაში და, მოისმენს რა კომისიის წევრების შენიშვნებს, აძლევს მათ თავის ახსნას.

შენიშვნა: აკადემიის უფროსს ენიჭება უფლება გამონაკლის შემთხვევებში, კომისიის შუამდგომლობით გადადოს ადიუნკტის მოხსენების დრო.

30. ადიუნკტის მოხსენებისა და კომისიის შენიშვნების მოსმენის შემდეგ კამათში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მოხსენებაზე დამსწრე პირებმაც.

31. შრომისა და მოხსენების ღირებულების მიხედვით, კომისია არკვევს: შეიძლება თუ არა დაშვებულ იქნას ადიუნკტი აკადემიაში მასწავლებლის თანამდებობაზე, რაც შეიტანება განსაკუთრებულ ოქმში, რომელიც იგზავნება დასამტკიცებლად მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომზადების **საბჭოში.**

32. იმ შემთხვევაში, თუ რომ კომისიამ შრომა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დამტკიცა მუშურ გლეხური წითელი არმიის მომზადების **საბჭომ,** აკადემიის უფროსი ნიშნავს ადიუნკტს მასწავლებლის სათანადო თანამდებობაზე დადგენილ წესით.

33. თუ რომ პირველად ვერ დაიცო ადიუნკტმა თავისი შრომა დამაკმაყოფილებლად, მას უფლება აქვს მოითხოვოს ხელმეორედ დაშვება თემის დასაცავად, რისთვისაც აკადემიის უფროსს შეუძლია მისცეს მას კიდევ სამი თვის ვადა იმავე თემის დასამუშავებლად.

34. თუ მეორეულად ვერ დაიცო დამაკმაყოფილებლად თემა, აკადემიისადმი ბრძანებით ადიუნკტი გამოირიცხება აკადემიიდან დადგენილ წესით, არმიაში გამოსაყენებლად.

ჩვენი ნაწილების საზამთრო მუშაობა.

განახლებული სოფელი.

სოფელი ტობანიერი.

ერთი წელიწადი არ ვყოფილვარ სოფლად. მოკლე ვადიან შვებულებამ ნაწილიდან საშვალება მომცა გავცნობოდი მის მდგომარეობას და იმ წარმატებებს, რომლებისთვისაც მიიღწევია მას ერთი წლის განმავლობაში. ჩვენი თემი (ტობანიერის თემი ქუთ. მაზრა) დიდად გამოცოცხლებულა. გლეხები დიდი მონდომებით აშენებენ ვეტერთელა შენობას სასწავლებლისთვის. გაუხსნიათ ქოხ-სამკითხველო. ჯერ მართალია ლარიბია, მაგრამ ძლიერ ცდილობენ მის გამდიდრებას ლიტერატურით. სოფლის ახალგაზრდობა ჯგუფის წევრები მთელი თავისი ენერგიით ჩაბმულან კულტურულ მუშაობაში. ზშირად მართავენ წარმოდგენებს ქოხ-სამკითხველოს სასარგებლოდ. გლეხები სიამოვნებით იღებენ წვლილს ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის.

თითქმის ყოველ დღე ნახავთ ქოხ-სამკითხველოში შეგროვილ გლეხებს და ვინც კითხვა არ იცის, ყურადღებით უსმენენ სხვებს.

დიდი სიხარული გამოიწვია გლეხებში სასოფლო-სამეურნეო ვადასახადის შემცირებამ.

— ერთი ქართამი, რომ გავყიდოთ იმით გადავიხდით ამასო—ბეიძახოდენ ისინი.

არა ნაკლები გახარებულია გლეხობა იმ გარემოებით, რომ მათგან შესყიდულ ბრეშუმის პარკში საქონლის მაგივრად (როგორც ეს შარშანდებულად) ურიგებენ ფულს, რომელსაც თავის სურვილისამებრ ხმარობენ.

1903 წელში დაბადებულები უკელბლივ და მხიარულად მიეშურებოდენ გამწვევი პუნქტებისაკენ. გრძელ ვადიან შვებულებით სოფლებში დაბრუნებული წ.-არმიელები ყოველ მხრივ უშუქებდენ მათ წითელი ყაზარმისა და წითელი ჯარის მნიშვნელობას და მოუწოდებენ გაეშურონ აღმზრდელ ყაზარმისაკენ.

სამხკორი შ. ბურკაძე.

არ ვივიწყებთ შეფობის ქვეშ აყვანილ სოფელს.

ბ.-ე ლეგიონი

14 ოქტომბერს მოხდა ლეგიონის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად დასმული იყო საშეფო სოფელ ბეკეშის დახმარების საკითხიც.

ლეგიონმა ერთხმად მიიღო წინადადება, რომ სოფელს გაეწიოს დახმარება წიგნებით, ფანქრებით რვეულებით და ერთდროულად 100 მან. გაღებით, ასეთი სახის დახმარება სოფლისათვის აუცილებელი საჭირო არის, რადგან სამსწავლო წელი უკვე დაიწყო.

ამას გარდა მიღებული იქნა ზომები შესაფერი დახმარება გაეწიოს აგრეთვე მეორე საშეფო სოფელ წყალტუბოს. მეთაურ - პოლიტშემადგენლობის მთელ რიგ ამხანაგებმა გადასწყვიტეს გაუწერონ აღნიშნულ სოფელს ჯერ-ჯერობით გაზეთები. ბიურომ გამოჩყო კომისია, რომელიც ადგილობრივად ინახულებს სოფლებს და გამოარკვევს თუ რა უფრო ესაჭიროება მათ. ამნაირად სოფლებთან ამ ახლო მომავალში გამეფული იქნება ცოცხალი კავშირი.

კენჭაძე.

საკლუბო მუშაობა გამოცოცხლდა.

მე-4 ლეგიონი.

მას შემდეგ, რაც ლეგიონში დანიშნული იქნა ახალი კლუბის გამგე, მუშაობა საგრძნობლად გამოკეთდა. განსაკუთრებით გამოჯანსაღდა დრამატიული წრე.

წინადაც იდგმებოდა წარმოდგენები, მაგრამ არა სისტემატიურად. არ იყო კარგად მოწყობილი სცენა და სხვ. ამ ერთად ეს ნაკლი გამოსწორდა. გაარღვიეს სცენის უკანა კედელი და სცენა საგრძნობლად გაფართოვდა. ეწყობა დეკორაციებით და მრავალი სხვ. ამას გარდა წინად დაგილობრივ პროფბიუროს კლუბში არ გვქონდა ნება წარმოდგენების დადგმის. ახლა კლუბის გამგემ ეს საქმეც მოაგვარა. ამ ერთად ლეგიონს შეუძლია თვეში ორჯერ გამართოს წარმოდგენები ხსენებულ კლუბში.

იმედია საკლუბო მუშაობის გამოცოცხლებისათვის ე წ. ეგეთული მუშაობა კიდევ უფრო აჩქარებული ტემპით წავა წინ.

სამხკორი ლ. ქსნელი.

ყურადღებით მოვეკიდოთ ახალწვეულების მოსვლას.

ამ რამოდენიმე დღის შემავლებს ბევრ რამეს. ჩვენ კარგად უნდა ჩაუკვირდეთ ამ ამხანაგების სულიერ განწყობილებას, მოუსმინოთ მათ ჭორვარამის შესახებ, დავაკვირდეთ თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე წითელი ყაზარმა და ისე მიუდგეთ მათთან მუშაობას, საუბრების ჩატარებას და სხვა. ამის გამოცდილება ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება. კარგად ვიცით როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ყაზარმამ, რამ მიიტანა პირველად ჩვენი ყურადღება, რა ვიყვეთ, რას ვფიქრობდით მოსვლის დროს და რა და როგორი მოზზადებული ვართ ეხლა.

ჩვენი ასეთი მოქმედება დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მათზე და უფრო დიდი ენერგიითა და მონდომებით შეუდგებიან მეცადინეობას. ამ საქმის წარმატებით ჩატარებაში დიდი როლის შესრულება შეგვიძლია ძველ წითელ არმიელებს და ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოდ შესაძლებლობის ფარგლებში.

მთელი ყურადღება ახალწვეულებს.

წ. არმ. ვაშაკიძე.

ძველ წითელ არმიელების წერილები ახალწვეულებისადმი

თქვენ მოგიხართ თქვენ-ვე ინტერესების გამომხატველ მუშურ გლეხურ ხელისუფლების დასაცავ ჯ.

ამხ. ახალწვეულებო, თქვენ ბედნიერი ხართ რომ გახდით ერისა მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამცველ წითელ არმიელის სახელწოდების მიღების. თქვენ ბევრ რამეს ნახავთ და შეისწავლით წითელ ყაზარმაში. ბევრი თქვენგანი ეხლა ახელს თვალებს და შეეძლება დანახოს, გაარკვიოს მტერი მოყვარისგან. წითელი ყაზარმა სკოლაა. სამხედრო ცოდნასთან ერთად, რომელიც შესაფერად უნდა გამოვიყენოთ საჭიროების დროს ჩვენივე მტრების წინააღმდეგ, თქვენ განვითარდებით აქ პოლიტიკურადაც. მხოლოდ ერთია; ნაწილში მოსვლისას თქვენ მტკიცედ უნდა დაიცვათ დისციპლინა-წესრიგი, მოუსმინოთ უფროსებს, ყურადღებით მოეპყრათ ყველა საკითხებზე, დადგებიან ლენინის კუთხეები სამხედრო განყოფილებებით. ამ საკითხების ირგვლივ, თქვენი ნაწილში ყოფნის დროს გვქონდა თქვენთან სათანადო სხვა-ბაასი, მიღებული გაქვთ უკვე სათანადო დირექტივები და ამისათვის ჩვენ უნდა გამოვთქვათ იმედი, რომ ყველა ეს დარიგებანი განხორციელდება თქვენი სერიოზული და ენერგიული მუშაობით. ჩვენ ანგარიშს ეუწევთ იმ გარემოებას, რომ ცვლილებადელი, სოფლად დაბრუნების შემდეგ, სხვა საქმეებით და საკითხებით არის გართული: მას ოჯახური პირობები მრავალგვარ მოთხოვნილებებს უყენებენ და ყველა ეს თავის თავად ცხადი არის, რომ ხელს შეუშლის და გაუძნელებს თავის ნაწილთან კავშირის აღდგენას და საზოგადოებრივ მუშაობას, მაგრამ ჩვენ მიუხედავად ამისა ვიმედოვნებთ მაინც, რომ თქვენ ამ სიძნელეს დასძლევთ და შეასრულებთ თქვენ მოქალაქეობრივ მოვალეობას ჩვენი ნორჩ ტერიტორიალურ ნაწილების წინაშე. საბჭოთა ხელისუფლება თქვენზე, როგორც, მომავლის მემკვიდრეზე, ამყარებს დიდ იმედებს სოფლად მუშაობის აღორძინებაში. თქვენ ხელთ გაქვთ საუკეთესო იარაღი, ეს თქვენი ცოდნაა, რომელიც უნდა მოიხმაროთ გლეხობის საკეთილდღეოთ.

ბიურო-კოლექტივი ღრმათ დარწმუნებული არის, რომ ეს ამხანაგური დარიგება არ დარჩება მარტო ქაღალდზე; არამედ ამაზე თქვენ გასცემთ სათანადო პასუხს საქმით.

ამხანაგური სალამით

2-ე არტ-ლეგიონის საზხედრო კომისარი ბარამიძე.

ბიურო-კოლექტივის მდივანი კულუმბეგაშვილი.

ძველ ... ...

... ...

ამ ... ...

სამხკოვრთა შენიშვნებიდან

ბრძანება არ სრულდება.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის მეთაურმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ნაწილის შემადგენლობას უნდა ევლო სამხედრო ფორმაში. სამწუხაროდ ლეგიონში ნაკლები ყურადღებით სრულდება ეს ბრძანება.

წითელ არმიელებს რა უნდა გაუმტყუნოთ, როდესაც ზოგიერთი მეთაურები არ ატარებენ ფორმას. დროა ყურადღებით მოეკიდონ ბრძანებას ეს ამხანაგები.

სამხკორი ან—ცი.

ბოლო უნდა მოეღოს.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის ნაწილებში ხშირად ტარდება სადამოობით საუბრები სხვა და სხვა საკითხებზე ან დ ფრის მეცადინეობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამხანაგებს (ჯ. არმიელებს) უფროსებისაგან სათანადო დარიგება ეძლევათ წესრიგის დაცვაზე, ზოგიერთი ამხ. წითელ არმიელები, არც თვითონ ესრულებიან აღნიშნულ საუბრებს და სხვასაც უშლიან.

მათ ასეთ საქციელს ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოთ.

წ. არმ. ჩხენკელი.

ახალმოკავშირეთა შორის.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

16 ოქტომბერს შესდგა ლეგ. 1 და 2 ბატარეიების ა. ლ. კომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული მორიგი დია კრება, რომელსაც დესწრო წევრთა უმრავლესობა და უპარტიო წ. არმიელები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) კომკავშირის წევრებში წესიერების დაცვა. 2) წრეების ჩამოყალიბება და სამეცადინო დღეების განსაზღვრა. 3) სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის დაკ ირ და 4) განცხადებების განხილვა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა კომკავშირის ჯგუფის ორგანიზატორმა, რომელმაც გააცნო (დამსწრეთ თუ თითეული კომკავშირის წევრი როგორ უნდა იქცეოდეს და მაგალითის მ.ჩვენებელი იყოს უპარტიო ამხანაგებისათვის.

მეორე საკითხის შესახებ ილაპარაკა ლეგიონის კომკავშირის ორგანიზატორმა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ჯგუფში იქნას ჩამოყალიბებული სხვა და სხვა წრეები და კვირაში ორჯერ ხდებოდეს მათი მეცადინეობა.

ჩამოყალიბებული იქნა მათემათიკის შემსწავლი წრე, რომელიც უფრო საჭიროა თვითეულ კომკავშირის წევრისათვის. დაევალა ჯგუფის ორგანიზატორს, რათა მან გამონახოს ამ საქმისათვის შესაფერი ხელმძღვანელი.

მესამე საკითხი გაიშუქა იმავე ჯგუფის ორგანიზატორმა. ამორჩეული იქნა კომისია სამი ამხანაგისაგან, რომელებსაც დაევალათ ბიურო კოლექტივის ნებართვით დიპერონ კავშირი, რომელიმე სამოქალაქო ორგანიზაციასთან.

შემდეგ იქნა განხილული იმ ამხანაგების განცხადებები, რომლებსაც სურდათ ჩვენს კავშირში შემოსვლა და ისინი, როგორც უღარიბეს გლეხის შვილები და კეთილ სინდისიერები მიღებული იქნენ კომკავშირის წევრებად.

სამხკორი გ. იაკობიძე.

მე-5 ლეგიონის სკოლა.

ჩვენს ლეგიონში ახალმკავშირელთა ჯგუფი დღემდე არ ყოფილა ჩამოყალიბებული. ცალალბადელების გაშვების შემდეგ სკოლაში დაარსებული იქნა ეს ჯგუფი და გაჩაღდა შესაფერი მუშაობაც. ჯგუფს ხელმძღვანელობს ტყვიამრფქვეოცეულის თავი, რომელიც ლენინის კუთხესაც შესაფერი ხელმძღვანელობას უწევს. პოლიტმეცადინეობა სწარმოებს პროგრამის მიხედვით. ჯგუფს კავშირი აქვს გაბმული ადგილობრივ ფაბრიკის კომკავშირელთა უჯრედთან. ხშირად ტარდება შეერთებული კრებები როგორც სკოლაში, ისე ფაბრიკაში.

კარგ დამოკიდებულებაში ვიმყოფებით კომუჯრედთანაც. პარტიულ კრებებს სისტემატიურად ესწრებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს ჯგუფი სკოლის უპარტიო კურსანტებშიც, რის გამოც მრავალი მათგანს სურს მიღებული იქნენ კავშირის წევრებად და შემოაქვთ განცხადებები.

ახკორი ვანო ნოზაძე.

მეტი ყურადღება დეზინფექციას

გარნიზონის ამბნოს გამგის საყურადღებოდ.

სხვა ნაწილებისამებრ ჩვენი ლეგიონის არმიელებიც სისტემატიურად დაიარებიან ამბნოში და დიდი ყურადღება იქცევა ჩვენს სუფთად ყოფნას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ წითელ არმიელების საცვლეს ამბნოში არ უკეთდება კარგად დეზინფექცია. ამბნოში მიღებულ საცვლებში ისევ ვნახულობთ კბენარებს. ამ გარემოების ყურადღება უნდა მიაქციოს ამბნოს გამგემ და დეზინფექციის საქმე შესაფერად დაიყენოს.

სამხკორი ან—ცი.

წითელ არმიელთა ფერილებმა გასჭრა

საქართველოს სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის პროკურორი ატყობინებს რედაქციას, რომ გზ. „წითელ არმიელში“ მოთავსებულ „ფენიშვნებზე: 1) „სამართლიანობა?“, „მოვალეობას არ ასრულებს“, და „ყურადღებას არავინ გვაქცევს“, მის მიერ სათანადო ნაწილების უფროსებს მოეთხოვათ ახსნა-განმარტება.

ჩვენი ცენტრალური კლუბი.

გაზეთ „წითელ არმიელის“ მე-237-ე ნომერში მოთავსებული წერილი „დგომ“-ს ხელის მოწერით, რომელიც ეხება ჩვენი ცენტრალური კლუბის მუშაობას წარსულ ი და მის მომავალ ბედს.

მოქ. „დგომ“ უსაყვედურებს კლუბის მესვეურებს, რომ „რამდენი ხანია არსებობს კლუბი და იქ წარმოებული მუშაობა კი ჩვენ არ გვინახავსო“. ეს არ შეეფერება სიმართლეს. კლუბი არსებობს 1921 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამე გააკეთა. მისი მუშაობის მოწმენი არიან მრავალი უვადო შვებულებაში წასულნი წითელი არმიელნი და ჩვენი ჯარის მეთაურნი. ამასვე მოწმობენ „წითელ არმიელში“ მოთავსებული წერილები ცენტრალური კლუბის მუშაობის ირგვლივ. მაშინაც კი, როდესაც ცენტრალურ კლუბს მოესპო შტატი და სუბსიდია და პოლიტგანყოფილება იძულებულ იყო დაექირავებინა კლუბის შენობა, მუშაობა იქ მაინც სწარმოებდა: იყო მოწყობილი „ლენინის კუთხე“, სამკითხველო, იმართებოდა შიგ სხვა და სხვა სადამოები, გასართობები, ლექციები. ზამთრის განმავლობაში გაიმართა 25 მასიური საღამო, რომელსაც დაესწრო 8000 წითელ-არმიელი და მეთაური. ზაუზულში, ჯარის გასვლის გამო მანაკად, მუშაობა შეჩერებულ იქნა.

დღეს-დღეობით სწარმოებს კლუბის შეკეთება.

გახსნა მისი დანიშნულია ნოემბრის 7-ს. კლუბთან ერთად ამუშავებს ავრეთვე საქართველოს პროლეტკულტი.

ე. ხუციშვილი.

ამბები სოფლებიდან.

ბორჩალოს ალმასკომმა დადგინა ეპატიოს გლეხკომების სასადილოებს გადასახადის ნაწილი.

ტელეფონი სოფლად. ზუგდიდ-შამგონის შორის დამთავრდა სატელეფონო ხაზის გაყვანა.

წინამძღვარიანთკარში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო სკოლის საფუძვლიანი შეკეთება.

ტყის მოშენება. ბორჩალოს ალმასკომმა შეიძინა ხის თესლები მაზრაში ტყის მოსაშენებლათ.

სენაკის მაზრაში ითვლება 6 ათასი დესეტინა ტყე, რომელიც გადეცემა ადგილობრივ მოსახლეობას.

ახალი ამბები.

საქ. ავიაციმმა გადასცა 200 მანეთი მე-2 და მე-3 რაიასბჭოების პლანერების ასაგებათ.

— სამხედრო პირთათვის სამბინაო საკითხის მოსაგვარებლათ ქალ. ქუთაისში, ქუთაისის ალმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

— ქიმიური განოყიერება. ავიაქიმის ქიმიურმა სექციამ დაადგინა გაზაფხულიდან მეუდგეს ნიადაგის ქიმიური განოყიერებისათვის პრაქტიკულ ცდებს.

— წ.-კ. მკირეთ მცოდნეთათვის ტფილისის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა გახსნას მაზრაში 17 სკოლა.

— ტრამვაის ხაზი. თავისუფლების მოედნიდან ალანოებამდე ტრამვაის ხაზის გაყვანას შეუდგებიან ალლო ხანში.

— დაზღვეულთა სექციმა დახმარებაზე გასულ წელში დახარჯულა მთელ რესპუბლიკაში ერთი მილიონი მანეთი.

— გლეხთა კურორტის მოსაწყობათ ა. კ. უმ. ეკ. საბჭომ საქ. ჯინსახკომს გადასცა 11.275 მანეთი.

— ზაპესის კომიტეტმა საუეო ტრესტისაგან დამატებით შეიძინა ხე-ტყის მასალა ზაპესის საჭიროებისათვის.

— ახალი მანქანა. 25 ოქტომბერს პირველ ელექტროსადგურთან დაიდგმება 280 ძალიანი ახალი მანქანა.

— დახმარება ქვრივ-ობლებს. სექტემბერში ტფილ. დამზღვევმა სალარომ ქვრივ-ობლებს დაურიგა 3.747 მანეთი.

წითელი არმიისა და ფლოტის ბალში.

დღეს კინოში მიდის ამერიკული კინო-რომანი 5 სერიათ და 30 ნაწილათ „შავ ნიღაბებს ქვეშ“. 1-ლი და მეორე სერია ერთად.

უცხო სიტყვათა ახსნა.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია—როდესაც საგარეო ვაჭრობა ან დაწესებულების ანდა სახელმწიფოს ხელშია. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს ხელშია, ის ამას ასრულებს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საშვალებით.

ოკუპაცია—როდესაც ამა თუ იმ ოლქს დაიკავებს მეორე სახელმწიფოს ჯარები.

ლიკვიდაცია— გაუქმება, მოსპობა.

ტექსტი—დედანი.

ფერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო, გზ. „წითელ არმიელის“ № 237-ში მოთავსებული იყო ამხ. „ქორის“ წერილი მეთაურთა გაერთიანებულ სამხედრო სკოლის ბიბლიოთეკის შესახებ.

ამხ. სწერდა, რომ ბიბლიოთეკა ღია არის მაშინ, როდესაც კურსანტებს არა სცალიათ და ამის გამო მათ არ შეუძლიათ წიგნების მიღება ან ჩაბარებაო.

ამ დაბრკოლებას ჩვენც ვამჩნევდით, მაგრამ მის გამოსწორებას დღემდე ხელს უშლიდა მრავალი ტეხნიკური მიზეზები და ამასთანავე უცდიდით საკლუბო სპეციალურ სამეცადინო საბჭოს დასტურს საათების განაწილების შესახებ.

ამხ. ქორის საყურადღებოთ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ჟამად ეს საქმე მოგვარდა. 17 ოქტომბრიდან ბიბლიოთეკა საღამოობითაც არის ღია 5-7-დე, სახელდობრ იმ საათებში, როდესაც კურსანტები თავისუფალი არიან.

ბიბმეუშაკი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-8 ასეულის, მე-8 კომუჯრედში შემოტანილი განცხადებები კომპარტიის კანდიდატების, კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ ამავე ასეულის მეთაურს ამხ. ივანე კონსტანტინეს ძე ოქროპირიძეს და ამავე ლეგიონის კლუბის უფროსის ამხ. ქალიაშვილისაგან. გთხოვთ თუ ვინმეს აქვს რაიმე მათ საწინააღმდეგო, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-8 ასეულის კომუჯრედის მდივანი ცინცაძე.

განცხადებები

თბილისში მდგომ ყველა ქართულ ნაწილების საკლუბო და საგიბლიოთეკო მუშაკთა საყურადღებოთ.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 22 დილის 10 საათზედ წითელ არმიის და ფლოტის ბალში შესდგება გარნიზონის სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა გაერთიანების სხდომა.

დღის წესრიგი:

1) ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის და კ. წითელ-დროშოვან არმიის 7 წლის თავის ჩატარების შესახებ.

2) სამუშაო გეგმის დამტკიცება.

კლუბის უფროსების და ბიბგამგეების დასწრება სავალდებულოა.

ბიუროს მდივანი ე. ხუციშვილი.

ტფილისის გარნიზონის ყველა სამხედრო სამეცნიერო ფრეებს.

ა. წ. 28 ოქტომბრისთვის წარმოადგინეთ მოკლე ცნობები სამხედრო სამეცნიერო წრის მიერ გაკეთებულ მუშაობის შესახებ აღნიშვნით, თუ რა საკითხები მუშავდებოდ სექციებში და გამოდიოდა პლენუმზე.

ცნობები წარმოადგენეთ ქ. ტფილისის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების საბჭოში (ყოფილი კადეტთა კორპუსი) ევანგულოვის 2, მე-2 ქართულ დივიზიის შტაბი.

ტფილისის გარნიზონის სამხ. სამეცნ. საზ. პასუხ-სმგებელი მდივანი გლუხარევი.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.